



სასწავლო საგნის დასახელება	ინგლისური ენა
სწავლების საფეხური/ კლასი	საბაზო საფეხური V კლასი
სახელმძღვანელო	Grammar Book-Round-up 3 Distance learning web resources : <i>K5Learning; Ebooks, en.childrenslibrary.org edutopia.org; learnenglishkids.britishcouncil.org etc.</i>
სასწავლო საგნის ხანგრძლივობა	8 თვე
მეცადინეობის განრიგი	კვირაში 2 საათი
სასწავლო ცენტრში ინგლისური ენის სწავლების მიზანი	ინგლისური ენის პროგრამა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების დოკუმენტში განსაზღვრული მიზნების და პრიორიტეტების მიღწევას. კერძოდ: ა) წიგნიერება, ბ) მედიაწიგნიერება, გ) ციფრული წიგნიერება, დ) რაოდენობრივი წიგნიერება ე) ეკოლოგიური კომპეტენცია, ვ) სწავლის სწავლა
კინგსის აკადემიის მუშაობის მიზანი	კინგსის აკადემიის მუშაობის პრიორიტეტული მიზნებია: მოსწავლეს განუვითარდეს შემდეგი უნარები: <ul style="list-style-type: none"> პროდუქტიული უნარები (მოსმენა და ლაპარაკი) რეცეპტიული უნარები (წერა და კითხვა) ინტერკულტურა (სამიზნე ენის კულტურის თავისებურებების აღქმა-გააზრება) სწავლის სწავლა (სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვა)
სასწავლო საგნის ანოტაცია.	მოსწავლეები ეცნობიან უცხო ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ავლებენ პარალელებს თავის ქვეყანასა და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე და სხვა ქვეყნებს შორის. ქვეყნებს შორის. აცნობიერებენ ინგლისური ენის შესწავლის აუცილებლობას, ინგლისურ ენას იყენებენ თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, მაგ. გააცნონ სხვა ქვეყნებს საქართველოს ისტორია, მოვლენები, კულტურა, შეიძინონ მეგობრები.
საგნის ათვისების აუცილებელი წინაპირობა	ამ საფეხურზე ენას აქვს გაცნობითი ხასიათი. მოსწავლემ უნდა შესძლოს საკუთარი თავის წარდგენა. ასევე სწორად უნდა აღიქვას ენის თავისებურებანი (ინტონაცია, მახვილი, ფრაზა, და ა.შ.)



<p>სასწავლო საგნის მიზანი(ები)</p>	<p>V-VI კლასის მოსწავლემ წლის ბოლოს უნდა შეძლოს შემდეგი თემატური ჩარჩოს დაფარვა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდი: პირადი მონაცემები, წარმომავლობა, საქმიანობა, ინტერესი, გარეგნობა, ჩაცმულობა, ჯანმრთელობა/ავადმყოფობა, მომავალი გეგმები, ემოციური რეაქციები; • ინდივიდის გარემოცვა: ოჯახი, ნათესავები, მეგობრები; ცხოველთა/ფრინველთა სამყარო; ბუნება/ბუნების მოვლენები; გეოგრაფიული დასახელებები, საცხოვრებელი ადგილი, ქალაქი, სოფელი; საყოფაცხოვრებო ნივთები; სკოლა, სასკოლო ნივთები; მომსახურების ობიექტები, სურსათი, საყიდლები; • აქტივობები: ყოველდღიური საქმიანობა; განრიგი, არდადეგები, გართობა, ჰობი, სპორტი, თამაშები; ყოველდღიური საქმიანობები; საყიდლებზე წასვლა, მგზავრობა/გადაადგილება; დღესასწაულები/ზეიმები; • ორიენტირები: წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები; ქვეყნის მხარეები, ადგილმდებარეობა. • მახასიათებლები: ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა, წონა, ტემპერატურა
<p>სამეტყველო ფუნქციები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქცია სოციალური ურთიერთობისას: მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, წარდგენა/გაცნობა, მადლობის გადახდა, მობოდიშება, მილოცვა, კეთილი სურვილების გამოხატვა, წახალისება/შექება, შეთავაზება, დახმარების თხოვნა, ნებართვის თხოვნა/მიცემა, დაპატიჟება, ინტერაქცია სუფრასთან; • ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად: პირადი მონაცემების (ვინაობა, წარმომავლობა, ასაკი, მისამართი, ტელეფონის ნომერი) გაცვლა; ადამიანის დახასიათება / საგნის აღწერა; თარიღის, საქმიანობის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება; ინტერაქცია საყიდლებზე ყოფნისას; • ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ: მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება; დათანხმება, უარყოფა, აკრძალვა; აზრის, დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატვა; • ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ: ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაოცება, შიში) და შეგრძნებების (ტკივილი, წყურვილი, შიმშილი, სიცივე, სიცხე) გამოხატვა; • ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ: დროის მითითება, ინტენსივობის (ქრონოლოგია, სიხშირე, ხანგრძლივობა) განსაზღვრა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება



<p>სწავლების ფორმები</p>	<p>გაკვეთილზე პოზიტიური გარემოს შექმნა, სხვადასხვა სახის აუდიო და ვიდეო საშუალებებით მათი ფანტაზიის აღძვრა.თამაშის ელემენტების გამოყენებით მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.</p> <ul style="list-style-type: none"> • დიალოგური მეტყველების განვითარება. • მოსმენის პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ისეთი მარტივი ტექსტების მოსმენა, გაგება გაანალიზება რაც მათ ცოდნას შეესაბამება. მოსმენა უნდა დაეთმოს სისტემატიური ხასიათი მოსმენამდე უნდა მოხეს იმ სიტყვებისა და ფრაზების შესწავლა რაც მოსმენის დროს იქნება გამოყენებული. • პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლის ალაპარაკება. ამ დროსაც წინასწარ უნდა მოხდეს სიტყვების და ფრაზების წინასწარ შესწავლა რაც საუბრის დროს ექნებათ გამოსაყენებელი. • კითხვითი უნარების განვითარების მიზნით მოსწავლეებს მცირე ზომის, ავთენტური ტექსტები მიეწოდებათ.
<p>გრამატიკის სწავლება</p>	<p>გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს უნდა ემსახურობდეს. ყველა სახის გრამატიკული მოვლენის განხილვა კონტექსტშია სასურველი და არა კონტექსტისაგან მოწყვეტით. წესების სწავლება არ არის რეკომენდირებული. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს, ამოიცნოს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები..</p> <p>გრამატიკული მასალის მიწოდება უნდა იყოს სახალისო, ადვილად გასაგები, მრავალფეროვანი აქტივობებით აგებული</p>



<p>გრამატიკული მასალა I სემესტრში</p>	<p>I სემესტრში, 3 კლასის მოსწავლეებთან გათვალისწინებული შესასწავლი მასალა --ელემენტარული გრამატიკის სწავლება: გამეორება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) TO BE ზმნის წარმოება. 2) TO HAVE /HAS ზმნა 3. CAN/CAN/T 4. Personal pronouns. 5. There is /There are კონსტრუქციის ხმარება ადგილის გარემოებით წინადადებაში. 7. არსებითი სახელის მრავლობით რიცხვში წარმოება . <p>ახალი მასალის შესწავლა.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. Irregular verbs 2. Nouns—proper/ Common nouns 3. Countable/ Uncountable nouns 4. Articles -Zero/ Definite / Indefinite. 5. Personal pronouns/ demonstrative Pronouns 6. Prepositions (time, place)
<p>გრამატიკული მასალა II სემესტრში</p>	<p>I სემესტრში ნასწავლი მასალის გამეორება განმტკიცება.</p> <p>ახალი მასალის მიწოდება.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. PRESENT SIMPLE მტკიცებითი,კითხვითი და უარყოფითი ფორმები DO/DOES დამხმარე ზმნების გამოყენებით 2. Past simple regular verbs. მტკიცებითი,კითხვითი და უარყოფითი ფორმები Did დამხმარე ზმნების გამოყენებით 3.Present continuous tense 4.მტკიცებითი,კითხვითი და უარყოფითი ფორმები To Be დამხმარე ზმნების გამოყენებით 5.Past continuous tense მტკიცებითი,კითხვითი და უარყოფითი ფორმები <p>.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. Modal Verbs 2. Conditionals (Zero, First, Second) 3. Present perfect tense. 4. Passive Voice.



<p>დამატებითი მასალა I სემესტრში</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. განათლება- primary/elementary. Secondary/ high school. Institute. University/ 2. საჭკრო ობიექტები- supermarket/ book-store/ clothes store/ cash desk/ customer/ counter/musical shop/drug store.... 3. სურსათი--Rice. Spaghetti. Egg. Mineral/fuzzy water.coke. Jelly. Cookies. Ice-cream.... 4. კვება--Café. McDonalds. Meal. Dessert. Recipe. Cook. Chips. Hamburger. Steak. Pizza. Junk food. Pancake... 5. ტრანსპორტი-- air plane. Train. Bus. Cab. Railway. Airport. Waiting room. 6. ფოსტა-- Post office. Envelope. Stamp. Postman. Mail -box. Telegram. Parcel. Letter. <p>ყოველივეს სწავლება გათვალისწინებულია, ვიდეო ფილმების, სიმღერების მოსმენით და ჩვენებით. თამაშებით, კროსვორდებით და სხვსდასხვა თავსატეხებით.</p>
<p>დამატებითი მასალა II სემესტრი</p>	<p>I სემესტრში ნასწავლი მასალის გამეორება განმტკიცება. ახალი მასალის შესწავლა.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გასართობი დაწესებულებები -Theater/Cinema. Zoo/Disneyland 2. ეკოლოგია-wood/deforestation. Waste/pollution. 3. ურთიერთობები- friends/family members. Wife/husband 4. ფინანსები- money/coins. Credit card/cash. Bank/ loan <p>ყოველივეს სწავლება გათვალისწინებულია, ვიდეო ფილმების, სიმღერების მოსმენით და ჩვენებით. თამაშებით, კროსვორდებით და სხვსდასხვა თავსატეხებით.</p>



<p>კითხვა I სემესტრი</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგი, მონოლოგი, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, ადაპტირებული ილუსტრირებული მოთხრობები და სხვა; • საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: ადაპტირებული სტატიები საბავშვო ჟურნალიდან, გაზეთიდან, ენციკლოპედიიდან და სხვა; მულტიმედიური ტექსტები: ადაპტირებული კომიქსები, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო რესურსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო გადაცემები და სხვა
<p>კითხვა II სემესტრი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მულტიმედიური ტექსტები: ადაპტირებული კომიქსები, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო რესურსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო გადაცემები და სხვა
<p>საუბარი I და II სემესტრი</p>	<p>ტექსტის შინაარსის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა;</p> <ul style="list-style-type: none"> • მინიინტერვიუების ჩამორთმევა თანაკლასელებისთვის ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., არდადადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაული და სხვა); • აღწერილი სიტუაციების მიხედვით სიმულაციური დიალოგების გათამაშება; • დამალული საგნის, ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობა კითხვა-პასუხზე დაყრდნობით; • ორი სურათის მსგავსება-განსხვავებაზე საუბარი; • საცხოვრებლის, ქალაქის, ოჯახის და ა.შ. აღწერა თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით; სკოლისკენ ან სახლისკენ მიმავალი გზის აღწერა; • „ჯაჭვური თხრობა“: მოსმენილი ფრაზების გამეორება და ტექსტის გაგრძელება თითო სიტყვით/წინადადებით (მოსწავლეთა ჯაჭვში) და სხვ.



<p>თამაშები</p>	<ul style="list-style-type: none"> • როლური თამაშები; • თემატური ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის შექმნა; თანაკლასელებთან/ მეწყვილესთან შეჯიბრი; ენის გასატეხის/გათვლის სწრაფად და გამართულად წარმოთქმაში; მითითებული ემოციის განსახიერება: " გაბრაზებული", "მხიარული", "მოწყენილი..."; • ლექსის ან სიმღერის გამეორება რიტმული მოძრაობებით, ტემპისა და ტემბრის ცვლით. • სხვადასხვა თემაზე (მაგ. „ჩემი ოჯახი“) ნახატებით/ფოტოებით და მათი აღმწერი წარწერებით გაფორმებული ტექსტის შექმნა. ამ ტექსტში განვლილი მასალის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ასპექტის წამოწევა, მაგ., გარეგნობა, პროფესია/საქმიანობა, ჩაცმულობა და სხვ.
<p>წერა I და II სემესტრი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლემ უნდა შეძლოს ნიმუშის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის დაწერა. • მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ელემენტარული ენობრივი უნარ ჩვევების და შემასმენლის შეთანხმება პირსა და რიცხვში. • მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამბის დასრულება. • მონაცემების მიხედვით პირადი წერილის შედგენა